ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

შპს „თბილისის ბიზნეს სახლსა“ და შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი / / /2017

შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“ წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გაგნიძის სახით და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი(შემდგომში „უნივერსიტეტი“, ავტორიზაცია - №23 10.10.2013), წარმოდგენილი რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის სახით (შემდგომში – მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

1. მიზანი

1.1. მხარეების მიზანია საქართველოს შრომის ბაზრის, მათ შორის საჯარო სექტორის სპეციფიკური მოთხოვნების ადეკვატური, ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელშეწყობა და გაძლიერება.

1.2. მხარეები მიზნად ისახავენ ამ მემორანდუმის ფარგლებში განახორციელონ პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროფესიულ მომზადებას, კერძოდ, უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების გზით მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადების პროცესს.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურ დამსაქმებელთა სწავლა/სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

2. საგანი

ამ მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ:

2.1. უნივერსიტეტი ჰუმანიტარული მეცნიერებების/თარგმანის მიმართულებით აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/სრულყოფის პროცესში პოტენციური დამსაქმებლის სტატუსით ჩართავს „თბილისის ბიზნეს სახლის“ წარმომადგენელს, რომელსაც საშუალება ექნება წარუდგინოს უნივერსიტეტის შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს (ფაკულტეტს) რეკომენდაციები და წინადადებები;

2.2. „თბილისის ბიზნეს სახლი“ ჩაერთვება ჰუმანიტარული მეცნიერებების/თარგმანის მიმართულების აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სასწავლო წლის სტუდენტების პროფესიულ (საწარმოო) პრაქტიკაზე მიღებას, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაში მონაწილეობის მიღებას, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ვადითა და წესით;

2.3. „თბილისის ბიზნეს სახლი“ უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობით რეალიზებად პროექტებში, მათ შორის სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, უნივერისტეტის სტუდენტთა შერჩევასა და მათ ჩართვას;

2.4. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია „თბილისის ბიზნეს სახლ“-ში დასაქმებული მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთა (თარჯიმანთა) სასწავლო პროცესში ჩართვა, ურთიერთშეთანხმებული ფორმითა და წესით.

3. მხარეთაუფლებამოვალეობანი

3.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამების, პროექტებისა და ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, გადაწყდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების ფორმით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლისას „თბილისის ბიზნეს სახლი“ უფლებამოსილია მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაადგინოს პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების კვოტა, აგრეთვე ჩაატაროს შესარჩევი კონკურსი, საუკეთესო სტუდენტთა გამოსავლენად; პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად, „თბილისის ბიზნეს სახლი“ გამოყოფს მენტორს, რომელიც ზედამხედველობს პრაქტიკის ობიექტში ადგილზე სტუდენტის საქმიანობას, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელთან კოორდინირებულად.

3.3. სტაჟირების პროგრამაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართვა ხორციელდება „თბილისის ბიზნეს სახლის“ მიერ დადგენილი წესით; ამ შემთხვევაში „თბილისის ბიზნეს სახლი“ ატყობინებს უნივერისტეტს ასეთი პროგრამის განხორციელების დაწყებისა და პირობების თაობაზე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1.წინამდებარე მემორანდუმის შეცვლა, მოდიფიცირება ან შეწყვეტა ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.2. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ ახდენს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ შეწყვეტის მომენტამდე.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი"

ს/ნ 206046045

მის: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ №31

საქართველო ქ. თბილისი, 0144

ტელ: (+995 32) 2 54 59 08

ელ–ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge

ვებ–გვერდი: www.thu.edu.ge

შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უივერსიტეტი@

რექტორი: ვალენტინა საყვარელიძე

შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“

ს/ნ 404482608

მის: რუსთაველის გამზ.N14

საქართველო ქ. თბილისი, 0108

ტელ: (+995 32) 2 93 28 88

ელ–ფოსტა: info@tbh.ge

შპს „თბილისის ბიზნეს სახლი“

დირექტორი: გიორგი გაგნიძე